# სახალხო გაზეთი

№ 985 ხუთშაბათი, 5 სექტემბერი 1913 წ. № 985

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

---

**სახალხო გაზეთი**

**უფასოდ ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს **3 მან.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

---

შვიდს ამა სექტემბერს, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, განსვენებულის

ექვთიმეს ასულის

## ნატალია კურცხალიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს განსვენებულის მეუღლე **პავლე იოსების ძე კურცხალია** ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ 7 ამა სექტემბერს შაბათს, წმინდა გიორგის ეკლესიაში, დილის 10 საათზე, წირვასა და პანაშვიდზე დასასწრებლად. 604

---

**საზაფხულო ახალი კლუბი შენობა**

ხუთშაბათს, 5 სექტემბერს, ქართულ თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I **უბედური ყოფა** ვოდ. 1 მოქმ. ცაგარლისა. | II **თითისტარი** ვოდ. 1 მოქმ. ყიფიანისა.

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი სალამოს 9 საათზე. თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრები კლუბში შესასვლელს იხდიან: კაცები 50 კ., ქალები და სტუდენტები 25 კაპ. 1431

---



**პირველ-ხარისხოვანი**

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 5 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება**

**დიდი წარმოდგენა** ახალის პროგრამით მთელი ტრუპის მონაწილეობით, რომელსაც **,,გრანდ სუირა''** ეწოდება. ახალი გამოსვლები! გასტროლები ახლად ჩამოსულ ჰაერის მეფისა, რომელიც **,,4 ეშმაკთან''** ერთად გამოვა. დღეს ჰაერის მეფეები შეასრულებენ მეტად ძნელ ნომრებს. მეორედ გამოსვლა **ბ. გოლდისა** თავისი ზღვის თამაშით სახიფათო კიბეზე, გასტროლი ფენომენალურის, მუცლით მკითხავის **ბ. ტარვიტასის** თავისი დღიურ პირ-ვარამზე ლოსაუბრე ავტომატით გასტროლი იშვიათიი ყოველგვარ ცხოველთა მწვრთნელის **ბ. რობერტსისა** თავისი იშვიათის ვირით და მათემატიკოს ძაღლით. დღესვე გამოვლენ ტფილისის საზოგადოების გამრთობნი, სიცილ-ხარხარის გამომწვევნი **ძმ. ვიჩენცოები.** გამოვლენ ცნობილი იტალიელი აკრობატები **დელლა კაზო** საბედისწერო ფიცრით.

**დასაწყისი სალამოს 8 ნახევ. საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 602. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

---

## შრომები და ნაწარმოები დ. ი. არაყიშვილისა:

ქართული სიმღერების კრებული სკოლებისთვის, ქართული მუსიკის წიგნები, ქართული სიმღერები ფ. პ. დასამღერებლად, რომანსები და სახორო სასიმღეროები რუსულსა და ქართულ ენაზე იყიდება ყველა წიგნისა და მუსიკის მაღაზიაში. 356

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. ს.<br>**ფილოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფილოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606''და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

სექტემბრის პირველ რიცხვებიდან

## ქართველ ქალთა ამხან. სამკერვალოში

ახლად მოწვეული **მკერვალი ქალი,** რომელმაც კარგად იცის თავისი ხელობა, **მიიღებს შესაკერად ქალთა და ბავშვთა კაბებს** ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში. **სწავლა ქალთა სახელოსნო სკოლაში** დაიწყება 5 სექტემბერს, გაბაშვილის ქუჩა, № 3. 589

---

## ტფ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლა

ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან** ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და სალამ. 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სპეციალურ საგნებზე მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—**ბ. მ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, გ. მ. ქიქოძე, ე. ვ. ფოგელისა** და **თ. ს. შაბუროვისა.** სკრიპკაზე: **მ. ტ. ვასილიევი.** ვიოლონჩელი—**ე. ნ. კაპელნიცკი.** კონტრაბასი—**მ. ი. შერშოვი,** სიმღერა, solo (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) **ნ. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა** და **ე. ბროჯი.** ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო (ნოტების კითხვა) ჰარმონია და ენციკლოპედია—**ზაქ. პ. ფალიაშვილი,** ხოროს კლასსი—**ზ. ი. ჩხიკვაძე.** ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტეპიანოზე **ე. ი. პოლტარაცკისა** და სკრიპკაზე, **ვ. მ. ბროდსკი.** სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი 65 მ. წელიწადში, სკრიპკა,—65 და 75 მან. ვიოლონჩელი 65 მ. კონტრაბასი 50 მ., სიმღერა (solo) 75 მ. თეორიის კლასებში 15 მ. წელიწადში.

სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარ წლობით წინდაწ. ნ. ხმების გასინჯვა საეკლესიო გუნდში შესასვლელად დანიშნულია ორშაბ. და ხუთშაბათ. სად. 5—7 ს. **სწავლა დაწყო 1 სექტემბერს.** 1429

---

## საბავშვო ბაღი

### ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ **ბავშვების ჩაწერა** შეიძლება ყოველ დღე **1 სექტემბრიდან** 10 საათიდან 12 საათამდე საბავშვო ბაღის სადგომში (სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. 1455

---

## გორის კერძო საქალებო პროფესიონალურ სკოლაში

**მოწაფეთა მიღება დაიწყო**

მოწაფე მიიღება არა ნაკლებ 13 წლ ისა,

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება პირადად და წერილობით გამგე **ელენე თარხან-მოურავოვის ასულთან.** 1445

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი **№ 481.**

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან სალამოს 5 ს.-დე.

**ბელიაევ.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^{1}/_{2}$ ს.

**ბოგუცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ და კვირ. 4—5 ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**კალმიკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ლიმონი.** კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

**ხანდამიროვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**აბულაძე.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ვატენიანცი**—ყელ., ყურ. და ცხვირ, ყოველ დღე 3—$3^{1}/_{2}$ ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ახპიხოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სალამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

---

**დოქტორი მედიცინისა**

## გ. ა. ახვერდოვი,

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

---

## ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას"** და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით 3—5 საათამდე. ოთხშაბ. და შაბათობ. სად. 5—7 ს-მდე. ივპალის ქუჩა № 29. ვიდებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში** და კალოუბნის ეკლესიაში სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^{1}/_{2}$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა ,,606''-ით** 1035

---

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სალამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი.** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

---

## ექიმი ი. დ. ბექთაბეგოვი დაბრუნდა

605

---

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., სალამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენი. სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

---

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

---

**ექიმი**

## ი. ზ. გძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., სალამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მასიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი **№ 117** ტელეფონი 816.

---

**ექიმი** კბილის **ა. გ. ხოლოდაშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, **№ 12.**

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა **№ 67.**

---

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ სამშაბათს, 3 სექტემბერს, ქუთაისიდან ჩამოვიდნენ სამსახურიდან გადაყენებული ქალაქის სკოლების **მასწავლებლები ა. ოდიშარია და ვლ. ნაცვლიშვილი,** რომლებიც წარუდგნენ ბ-ნ კავკასიის სამასწავლო ოლქის მზრუნველს პირადად საქმის გარემოების ასახსნელად და თან წარუდგინეს გასამართლებელი საბუთები. ბ-მა ოლქის მზრუნველმა ხსენებული მასწავლებლები მიიღო თავის კაბინეტში და მოისმინა ყურადღებით მათი საქმის ვითარება, რაც გაგრძელდა საათ-ნახევარს.

✦ **გერმანელი მეურნენი** გუშინ, დილით, ტფილისიდან კავკავს გაემგზავრნენ საქართველოს სამხედრო გზით. იქიდან პეტროვსკით ბაქოს წავლენ, შემდეგ კი მოივლიან მუღანს და ტფილისს 13 სექტემბრისთვის დაბრუნდებიან.

✦ **რუსული დრამა** საარტისტო საზოგადოებაში 25 სექტემბრიდან დაიწყება.

✦ სახელმწიფო სათათბიროს წევრი **სკობელევი,** რომელიც ამას წინად ტფილისს ჩამოვიდა, ლენქორანს გაემგზავრა.

✦ **სახელოსნო გამგეობამ** წელს ორ გასათხოვარ ღარიბ ქალს მისცა მზითევი იმ თანხის სარგებლიდან, რომელიც ამ საქმისთვის სახელოსნო გამგეობას განსვენებულმა ა. მ. ფრიდონოვმა და მისმა მემკვიდრეებმა უანდერძეს. კენჭის ყრა მოხდა 29 აგვისტოს. მზითევი ერგო ელისაბედ გალეგოვს და თამარ რუსიაშვილსა.

✦ **ა. ფ კერენსკი,** სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ტფილისს ჩამოვიდა. ბ-ნი კერენსკი ტფილისში რამდენიმე ლექციის წაკითხვას აპირობს.

✦ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის** ქალაქის სავაჭრო - სამეურნეო მეთვალყურეს თუმანიანცს ქალაქის მეთერთმეტე უბანში უკანასკნელ თვე-ნახევრის განმავლობაში 280 ოქმი შეუდგენია სხვა და სხვა პირისთვის, განსაკუთრებით ვაჭართათვის. ამ ერთის ცნობიდანაც კარგად სჩანს, რამდენად ემორჩილებიან ტფილისელნი სავალდებულო დადგენილებას.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** გუშინ დაასრულა შემოწმება. შეამოწმა სულ 134 კაცი. ამათში 100 კაცამდე უვარგისად იცნო, დანარჩენები კი სამხედრო ბეგარაში იქნებიან გაყვანილნი თითო თვით.

✦ **გაზეთი „ზაკავკაზიე"** გუშინაც არ გამოსულა ასოთამწყობთა დაუკმაყოფილებლობის გამო.

✦ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ნოტებზე გადაღებული ლექსი „გენაცვალე" ი. გრიშაშვილისა მომღერლის ვანო სარაჯიშვილის სურათით.

✦ **ქალი-კანტროლიორი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის წყალსადენის კანტროლიორად დანიშნოს ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურე ოლღა ვასილის ასული ოლაჯანოვისა. ამ თანამდებობაზე ქალის დანიშვნა ტფ. ქალაქის თვითმმართველობის ცხოვრებაში პირველი მაგალითია. ქ-ნი ოლაჯანოვისა ამ თანამდებობის ასრულებას დასთანხმდა. იგი ტომით რუსია (ნემიტოვის ქალი) და მეუღლე არის ექიმ ოლაჯანოვისა, რომელიც დაშნაქცუთუნის საქმის გამო, სასამართლოს დადგენილებით, კატორგაშია გაგზავნილი. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ორიოლის საგუბერნიო საერობო გამგეობაში ამ 17 წლის წინად ქ-ნი ოლაჯანოვისა სტატისტიკად მსახურობდა; ეს თანამდებობა უწინ ყოველთვის მამაკაცებს სჭერიათ და იგი პირველი ქალი ყოფილა, რომელსაც სტატისტიკის თანამდებობა უკისრნია.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** ხერსონში ხოლერამ იჩინა თავი. მოსალოდნელია, ხოლერა ტფილისსაც ესტუმროს. ამის გამო ქალაქის გამგეობამ, სასანიტარო - სამკურნალო ინსპექტორის გ. ნ. სტეფანოვის მოხსენების თანახმად, განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქის ექიმებმა, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა და სანიტარებმა სხვა და სხვა საგანგებო ღონისძიება მიიღონ მოსალოდნელ ხოლერის წინააღმდეგ. ამას წინად ვწერდით, ვერაზე ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ანა ბაკასოვისაო. ახლა ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბაკასოვისა ხოლერით არ არის ავად.

✦ **საბირჟო ცნობები.** 3 სექტემბერს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მან., 50 კ., აძლევდნენ—84 მან. ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილ - მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 50 კ. აძლევ-

10 დღით

იაროსლავის მაღაზიაში

პ. ს. დოროფეევისა

მიხეილის პრ. კირკის გვერდით, ტელეფონი № 838. რადგან ეხლანდელ ბინას ვაფართოებთ, სამი სექტემბრიდან დანიშნულია

დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა

10 დღით

აბრეშუმის და შალის ქსოვილები; შეკერილი ტანისამოსი ქალთა და კაცთათვის, ხალიჩები, მატყლეულობის, დრაფის და ტრიკოსი, ქალთა და კაცთათვის წინდები და სხვა ტრიკოს ნაწარმოებნი, საბნები, ტილოები და სასუფრე თეთრეულობა, სადგამო ქსოვილები, ცხვირსახოცები, ფერადი ბამბის ქსოვილები, სალეჩაქე და ფარდები,

ძლიერ ფას დაკლებით

რადგან ეხლანდელი სადგომის ერთი-ორად გაფართოებას ვაპირებთ, ყველაფერი ძლიერ იაფად გაიყიდება, საქონელს პირდაპირ მუქთად გავყიდით, რათა დარჩენილი საქონელი ცოტა ხნის განმავლობაში მინიმუმამდე დავიყვანოთ.

იაფობის დროს მაღაზია ღია იქნება დილის $8^1/_2$ საათზე. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდე და საღამოს 4 ს. $6^1/_2$ ს.

1464.

10 დღით

დნენ—82 მან., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 25 კ., აძლევდნენ—78 მ. 50 კ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—488 მ. მეორისა—376 მ. და მესამისა - 320 მან.

✦ „ჯეჯილი“. რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“-ს ივლისისა და აგვისტოსი (7 და 8) ნომრები. შინაარსი: 1) სურათი. ფრინველებთა მეჯლისი. 2) ზარმაც ვანოს, ლექსი გ. ქუჩიშვილისა. 3) მუსიკის მოყვარული კატა, კუდრაქასი. 4) დედოფალა (ანუ სინდიაფალა) ბიკოვიდან 5) ჯანიკო, პატარა მოსწავლის წერილები. მიხ. ბოჭორიშვილისა. 6) წყაროს სიმღერა. ლექსი ი. სიხარულიძისა. 7) თინა როგორ ჩაუვარდა ტყვეთ ავაზაკებს. (გადმოკეთებული) ტასოსაგან. 8) პატარა ტარიელი, (გაგრძელება) ალ ნათაძისა. 9) სპილოს დღიურიდან, (თარგმანი) ანიკოსი, 10 წვრილმანი: გამოცანები, ზმა, ანაგრამა, აკროსტიხი, რუბუსი, ხალხური ლექსები და სხვა. 11) მუხა, ლექსი შიო მღვიმელისა. 12) ორი ძმა. (თარგმანი) ირაკლი ფერაძისა. 13) პირველ-ყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება. გადმოკეთებული) იტა ნაკაშიძისა. 14 მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებიდან (უმარტივესი ცხოველები) ივ. თიკანაძისა. 15) მამა ფენელონი მეჯლისს ესწრება. ფრანგულიდან ან. წერეთლისა. 16) მტკვრის სათავე, ქოროხი და თამარ მეფე. მგზავრის დღიურიდან—ილ. ალხაზიშვილისა. 17) ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი).

## საზოგადოებანი და კრებები

✦ 2 სექტემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე **მოხდა კავკასიისა, ქართულისა და სომხური სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა შეერთებული კრება.** კრება გაიმართა გერმანელ მოგზაურების პატივსაცემლად. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე: სენატორი ვატაცი, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი, ნამესტნიკის საბჭოს წევრი ჯუნკოვსკი, სახელმწიფო ბანკის კანტორის გამგე ბეზობრაზოვი და სხვანი. კრება გაიხსნა საღამოს 8 საათსა და 15 წუთზე თავ. პ. გრუზინსკიმ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. მას სამადლობელი პასუხი რუსულად უთხრა პროფესორმა იუჰაგენმა. შემდეგ გერმანულ ენაზე მოხსენებანი წაიკითხეს: თავ. მ. სუმბათაშვილმა, ვინნერმა, კნორინგმა, ტიმოფეევმა და სხვა. მოხსენებების შემდეგ სტუმრებს გაუმასპინძლდნენ ადგილობრივი ხილითა და ჩაით. სტუმრებმა აგრეთვე დაათვალიერეს სხვადასხვა ჯიშის ადგილობრივი ხილი, რომელიც გამოფენილი იყო საზოგადოების ბიბლიოთეკაში. განმარტებას აძლევდა ბ-ნი ხეთაგური. გუშინ გერმანელებმა დაათვალიერეს ნაუფლისწულო სარდაფები და სხვ.

✦ **ტფ. საარტისტო საზოგადოების** სცენის მოყვარულთა კრება 3 სექტემბერს მოხდა საზოგადოების ამასახლისთა მონაწილეობით. გადასწყდა, წელს წარმოდგენები კვლავ ართონ და რეჟისორად მოიწვიონ პროფესიონალური არტისტი. წარმოდგენების გამგედ ვ. ი. ფითოევი აირჩიეს.

✦ **ქ. ზ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის მორიგი კრება დღეისთვის არის დანიშნული.

განზ'რახულია, წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი დაარსონ ახალციხესა, ტუაფსესა და ვანში.

## სასწავლებლებში

✦ **ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტში** შესვლის მსურველი წელს 237 კაცი იყო. ამათში სასწავლებელში მიიღეს 37 კაცი. მათ შორის ორი ქართველია.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ** ამ დღეებში ცხინვალში თავისი განყოფილება დაარსა.

## ტფ. ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო

გაფიცვა გრძელდება. გუშინ ცვლილება არა მომხდარა-რა. გაფიცულთა და ტრამვაის დირექტორის შორის მოლაპარაკება დროებით შესწყდა, ბრიუსელიდან უსახელო საზოგადოების რწმუნებულის ჩამოსვლამდე. რწმუნებულს ხვალისათვის (6 სექტემბრისათვის) მოელიან ტფილისში.

მუშებმა ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს სთხოვეს შუაკაცობა დირექციასა და მათ შორის.

ამას გარდა დახმარების აღმოსაჩენად მუშებმა სიღნაღიდან დაიბარეს სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნ. ს. ჩხეიძე, რომელიც გუშინ საჩქაროდ ტფილისში ჩამოვიდა. გუშინ, შუადღისას, ბ-ნი ჩხეიძე უკვე იყო ტრამვაის დირექტორ ფ. პ. ტახტაჯიანცთან.

ჰფიქრობენ, გაფიცვა ჩქარა ვერ დასრულდება. ამიტომ ქალაქის გამგეობა შეუდგა თადარიგს, რათა ქალაქში მოაწყოს ეტლების წესიერი მოძრაობა. 35 ომნიბუსი და „ლინეიკა“ უკვე იშოვა. მგზავრებს ქვემონაჩვენებ გზით შეუძლიანთ სიარული და შემდეგი ფასი გადახდებათ:

I. **ერევნის მოედნიდან**: 1) რკინის გზის სადგურამდე, ჩერქეზოვის ქუჩით და მუშტაიდამდე მიხეილის ქუჩით: რეზინის ბორბლებით—20 კ. რკინის—15 კ., მოწაფეთათვის—10 კ.

2) ვორონცოვის ძეგლამდე—10 კ., 7 კაპ. და 5 კაპ.

3) ოლღასა და წყნეთის ქუჩების ბოლომდე—15 კაპ., 10 კ. და 8 კაპ.

4) არამიანცის საავადმყოფომდე 20 კაპ., 15 კაპ. და 10 კაპ.

II. **ვორონცოვის ძეგლიდან**: 1) სადგურამდე და მუშტაიდამდე—15 კ. 10 კ. და 8 კაპ.

2) რიყეზე ციხემდინ—10 კ., 7 კ. და 5 კაპ.

III **თათრის მოედნამდე**: 1) მნაცაკანის ხიდამდე—15 კ., 10 კ. დ 8 კ.

IV. **ოლღასა და მოსკოვის ქუჩების კუთხიდან**: მუშტაიდამდე და სადგურამდე -15 კ., 10 კ. და 8 კ.

V. **კახეთის მოედნიდან**: სასალახომდე რკინისა დ რეზინის შინებიან ეტლი—20 კაპ. მოწაფეთათვის 10 კაპ.

## რა ვნახეთ ზემო-იმერეთში*)

(წლევანდელი მოუსავლობის გამო)

ავედი ბერეთისაში, რომელიც საჩხერიდან 15—17 ვერსის მანძილზე მდებარეობს. დავათვალიერე ნათესი. ამ სოფელში სხვისასაც ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი მოუსავლობა ჯერ იქ არ მინახავს. ბერეთისის მცხოვრებნი სახაზინო გლეხებია, ცხოვრობენ

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 983.

თის მახლობლად, ადგილები ხში რად ქვა და კარნარევია, ან ყვითელი მიწა-სილიანი და აყალო. თუმცა ნიადაგის უვარგისობის გამო ნათესი არასოდეს არაა სახარბიელო, ღვინო თითქმის სულ არ მოდის, და თუ მოდის ისიც ცხარე, მჟავე და ხალხი უფრო კირის დაწვას, აგურისა და კრამიტების კეთებას მისდევს, მაგრამ წელს განსაკუთრებით არაფერი აღარ იქნება.

— აგერ რამდენიმე თვეა, წვიმა არ ყოფილა. იმ სერის გადაღმა სოფელი ტყემლუანაა. იქით გადაჰყვა წვიმა და ჩვენსკენ კი წვეთი არ ჩამოვარდნილა.

სიმინდით გაღონიერებული თუმცა არაოდეს არ ვყოფილვართ, მაგრამ წლევანდელი წლისთანა ღმერთმა ნუღარაფერი გვაჩვენოს.—მითხრეს გლეხებმა.

როგორც ბერეთისაში ისე არც მის მახლობლად მდებარე სოფლებში: კორბოულსა, ჯალაურთაში, უსახელოში, მანდეეთში, ნიგოზეთში და სხ. ყოველგან ნათესი გადამხმარია და ვენახი გადამჭკნარი. გვალვები არ ყოფილა. სოფ. ტყემლუანასა და მეჩხეთურში, მაგრამ ამ სოფლებში ისეც ნაკლებად მოდის სიმინდი. ტყემლუანელი ხალხი უფრო გარშემო მდებარე სოფლებში მოსული სიმინდით სარგებლობს. იშვიათია გლეხი, რომელსაც მოსავალი თიბათვემდე გაჰყვეს. ბევრი მოდის ქლიავი და სხვა ხილი. გადააქვთ იგი მახლობლად მდებარე სოფლებში და სიმინდზე სცვლიან და რითაც იცხოვრონ ან გამოიკვებონ თავი ტყემლუანელებმა, როცა ქლიავში სიმინდს ველარ აიღებენ.

ვეწვიე ქორეთის საზოგადოებას. დავათვალიერე ყანები, არსად არაფერი. მივედი შეძლებული გლეხისას, დაუწყე ლაპარაკი მოსავლის შესახებ:

— მობძანდით და თქვენი თვალით ნახეთო.—გადამიყვანა ვენახში, რომელიც საუკეთესო ადგილზეა გაშენებული მთელ სოფელში. ვნახეთ:—

ზოგგან ვაზებიანად გაუხმია ვენახები სიცხეებს. თუ წასულ წლებში თითო ვაზს 4—5 მტევანი გამოჰქონდა, წელს ერთიც არაა, ან, თუ არის, მიმჭკნარი, მიმხმარი, გამოფშუტული:

— შარშან ორასი კოკა*) ღვინო მომივიდა, წელს ორმოცდაათსაც დავეჯერდები, მაგრამ ან ამდენი სად იქნება? თქვენი თვალით ხედავთ, რომ შარშან ამ დროს რთველს ვიწყებდით და წელს კი ღმერთმა ღმერთმა იცის, როგორ იქნება საქმე. მართლაც, განგებ ვეძებეთ და საჭმელი ყურძენიც არ იყო.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხსენებული გლეხის ცხოვრებას თითქმის მთელი სოფელი შენატრის, უმეტესობა ამ სოფლის მცხოვრებთა იმდენად დაღარიბებულია, რომ „ლუკმა მჭადის ჭამა უჭირს“, როგორც აქ იციან თქმა.

— მადლობა ღმერთს, მე კიდევ იმდენი მაქვს შარშანდელი მაინც, რომ ოჯახს არ მომიშივდეს, მაგრამ სხვებმა, ჩემმა მეზობლებმა რაღა ჰქნან? შიმშილმა ახლავე იჩინა თავი. ამასწინად მეზობელი მოვიდა და მთხოვა ერთი გოდორი ბზე მესესხებია, უარი ვუთხარი, რადგან ბზე მართლაც ნაკლებად მქონდა და საქონელი კი ბლომად მყავს. მეზობელი გულმოსული გაბრუნდა და ამ შემთხვევის შემდეგ, ორი დღეც არ გასულა, ჩემ საბძელს ცეცხლი გაუჩნდა, ბზეც გამოიწვა, თივაც, ჩალაც და საბძელმაც თქვენი ჭირი წაიღო. ასეა, ბატონო, შიმშილობას ავკაცობა მოსდევს, დამშეული კაცი მგელია, რასაც ხახავს, იმას ეტაკება და ამნაირად ვაი ქონებას და ვაი უქონლობასო,—დასძინა ჩემმა მობაასემ.

*) კოკა ღვინო ზემო იმერეთში ორფუთ-ნახევრამდეა.

გადმოვიარე ბჟინევი, ითხვისი, ჰორვილა, მერჯევი, საირხე, კალოუათა, გორისა და ყველგან ერთი და იგივე სურათი: ყანები გადამხმარი, ვენახები გადამხმარი, ირგვლივ დაღვრემილი სახეები და საყვედურები. გაისმის ყრუ გმინვა, გლეხებს აკანკალებს მომავალი შიმშილობის მოლოდინში, არ იციან რა ჰქნან, სად წავიდნენ, ნაყიდით დიდხანს ვერ გაიკვებავენ თავს, და ან სასყიდელი ფული სად იშოვონ? ვისაც სოფელი არ უნახავს და სოფლის ცხოვრებას არ დაჰკვირვებია, იმას შეიძლება ბევრი რამ გადამეტებული ეჩვენოს, საკმარისია დამშეულ სოფელში იცხოვრო, რომ გაიცნო და განიცადო ის საშინელება და ბოროტება, რომელიც შიმშილობას მოსდევს. სწორედ ამ დროს იჩენს თავს სოფელში ავაზაკობაც, ავადმყოფობაც და ათასი სხვა ჭირი.

ქორეთის საზოგადოებაზე ნაკლებ საშინელი დღეები არ მოელის არც არგვეთის საზოგადოებას, იგი კიდევ უფრო მეტად კრიტიკულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რადგან გვალვებთან ერთად ამ საზოგადოების ზოგიერთ სოფელში არც მიწის ნიადაგია ნაყოფიერი. თითქმის არაფრის იმედი აღარაა, ისეა ყანები გადამხმარი და გაოხრებული, სიმინდი თითო გოჯს ვერ ასცილებია, ძირშივეა გამხმარი და გამოფიტული. („იმერეთი“).

**იმერი.**

(შემდეგი იქნება).

## წერილი ქუთაისიდან

ქართველი თავად-აზნაურობის შვილების მოსამზადებლად კადეტის კორპუსებში, შესასვლელად ტფილისში დაარსებას უპირობენ თურმე მოსამზადებელ კლასს და მის შესანახავად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თ.-აზნაურობას მთავრობა ფულსა სთხოვს.

ჩვენ არ ვიცით რა პასუხს გასცემს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ზემოაღნიშნულ შეკითხვას, და აქ კი, ქუთაისში, ის აზრი თურმე ტრიალებს, რომ წინადადება მიიღონ და მოსამზადებელი კლასის შესანახავად ხუთას თუმნამდე გადასდონ უმაღლესად ნაბოძები ფულიდან.

ეს ფული, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, გადადებულია ქართული გიმნაზიის შესანახავად და, მიუხედავად ამისა, ჩვენს წინამძღოლებს სხვა ვერაფერი მოუგონიათ იმის მეტი, რომ 1200 ყმაწვილის სასწავლებლად გადადებულ ფულს მოაკლონ ერთი მეოთხედი და 30 ყმაწვილის მოსამზადებლად გასცენ.

რასა ჰგავს ეს? ნუ თუ მცირეოდენი მოსაზრება არა აქვთ დეპუტატთა საკრებულოს წევრთ? ასეთი გადაწყვეტილება, მეტი რომ არა სთქვას კაცმა, უაზრობაა? მერე რას წარმოადგენს ეს „მოსამზადებელი კლასები“ თუ არ ერთ-ერთ საშუალებას ქართველების რუსიფიკაციისას? რატომ არ დაფიქრდებიან ამ საგანზე ბრწყინვალე წარმომადგენელნი ბრწყინვალე წოდებისა?

**ფარსევი.**

## „განთიადელების“ პროტესტების გამო

ბევრი ერის ზნე-ჩვეულება გამიგონია, წამიკითხავს, მიცხოვრია და მიმსახურნია კიდეც მათთან, მაგრამ არც ერთისგან არ გამიგონია, რომ აგრე უდიერად მოპყრობოდნენ თავიანთ ეროვნებას, საკუთარ საუნჯეს და თავის საუკეთესო შვილებს, როგორც ქართველი, და, განსაკუთრებით უფრო, ჩვენი დასელები. ისე გაზეთს ვერ აიღებს კაცი ხელში, რომ გულის შემზარავსა და გულიდან ამოგლეჯილ ზიზღს არ წააწყდეს მკითხველი. გვიწუნებენ წარსულს ფეხის ყოველ გადადგმაზე, ჰქადაგებენ ჩვენ არარაობას და ათას სხვა რამეს თხზავენ, ისედაც დაჩაგრულ ქართველობაზე. კირკიტა ხალხი ვართ; თუ რამე უნებლიედ ჩაგვაგონეს, არ ვცდილობთ სიმართლეს ნათელი მოვფინოთ, ჩვენი შეცდომა მოვინანიოთ, სწორს გზაზე დავდგეთ და ცოტად თუ ბევრად მივბაძოთ ჩვენზე უფრო შეგნებულებს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო; აი თუნდა ავიღოთ ჩვენი მეზობელი ერი, სომხობა, რა რიგად სწამთ ყოველივე თავისი, რა მოწიწებით ექცევიან არამც თუ ვინმე დიდებულ მწერალს, ან განთქმულ მოღვაწეს, არამედ მცირესაც კი; აბა ერთი გაბედოს ვინმემ ცუდად მოხსენება მათი, როგორც ერთი, ფეხზე ადგებიან, შემგინებელს ცხვირს მოსტეხენ თუნდაც თავისიანი იყოს კიდეც, შეუპოვარ იერიშს მიიტანენ და ერთხელ და სამუდამოდ დაადუმებენ. ეს მაგალითი სარკე უნდა იყოს ქართველებისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, ამას ვერ ვხედავთ, თვალებზე ბინდს ვიკრავთ, ერთი-მეორის ათას საგინებელს რასმე ვთხზავთ, საკუთარ ხელით ტვინს ვუნთხევთ, ჩვენს საუკეთესო მოღვაწეთ მიწაშიაც მივძვრებით და ძვლებსაც აღარ ვასვენებთ. დიდებულ მოჭირნახულე ილიას მზგავსი მკვლელობა რომ სხვა ეროვნებაში მომხდარიყო, აძრევე შეინანიებდნენ, თავიანთ შვილთა და მომავალთ ისტორიაში შეცდომად ჩაუწერდნენ, და, ამგვარად, ოდნავად მაინც გაასწორებდნენ თავიანთ დანაშაულს. ჩვენ კი უტიფრონი, არც კი ვწითლდებით და თითქო ძალზედაც ვდგევართ, სულ ცოტა დაგვრჩა ვსთქვათ: ღირსი იყო და მოჰკლესო! („განთიადის“ გარეშე მკითხველი სხვანაირად ვერც კი იფიქრებს). ვაი სირცხვილო! ვაი, უსინიდისოების გზაზე დამდგარო! ის მაინც შეიგნეთ, რომ ჩვენი მეზობლები, რომლებიც ილიაში თავის მოწინააღმდეგეს ხედავდნენ, ისინიც კი დაგვცინიან: ქართველებს ერთი ილია ჰყავდათ, რომლითაც ამაყობდნენ და ისიც კი მოჰკლესო“. ჩვენ კი უსირცხვილოთ ვიღრიჯებით გაზეთის ფურცლებზე. თოფის ხმას იატაკზე წაქცეულ სკამის ხმას ვადარებთ და რაღაცა პროტესტების საშუალებით ვაფუჩეჩებთ სინამდვილეს. რა ფასი აქვს ასეთ პროტესტებს, როცა მამლის კუდი გარედ არის გამოჩრილი, რაც წინად ვსთქვი, იმის არ იყოს, ბ. ფილიპე მახარაძეს და „განთიადელებს“ ეხერხებათ ეხლა, მაგრამ მოვა დრო დი დამალული ქათამი კურტუმამდე გამოგიჩნდებათ, მაშინ ბ. ფილიპე და „განთიადელებო?“ გეყოფათ, გეყოფათ ბ. ფილიპევ და კომპანიავ მუშებზე ამოფარება, ეს ჩვენ სირცხვილად მიგვაჩნია და არც ისეა საქმე, რომ ყველა მუშა თქვენს ამფოვანში (ბალდახინში) იჯდეს და თქვენიანად მიგაჩნდეთ.

**მჭედელი მ. რატიანი.**

## პროტესტების წინააღმდეგ

დიდიხანია გვინდოდა ხმა ამოგვეღო, გულში ჩამარხული გრძნობა შეურაცხყოფილ ადამიანისა საზოგადოებისათვის გაგვეზიარებინა, მაგრამ თავს ვიკავებით: გვეგონა თავაღებულ კომპანიას ბოლო მოეღებოდა და ჩვენის უდიდესი მგოსნის ილია ჭავჭავაძის სახელს კიდევ ჯვარზე არ გააკრავდნენ. სანამ პოლემიკა ზრდილობის საზღვრებს არ სცილდებოდა, ჩვენ გაჩუმებულნი თვალყურს ვადევნებდით. ბევრი რამ არ მოგვწონდა ამ პოლემიკაში, მაგრამ გულის ტკივილით ვითმენდით, და ველოდით, დაუსრულებლად ველოდით, როდის მოეღებოდა ბოლო ამ უაზრო კომპანიას, მაგრამ მოვსტყუვდით. ჩვენმა დასელებმა კვლავ ბურთივით გაიგდეს დიდებული ილია და საფლავშიაც არ ასვენებენ: დაიწყო პროტესტების გამოცხობა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, როგორ იწყობა ეს პროტესტები, რადგანაც ოდესღაც ჩვენც მიგვიძღოდა ცოდვა ამისთანა საქმეებში. სწორედ ამიტომაც ჩვენ სრულიად უყურადღებოდ ვსტოვებდით ამ პროტესტებს, რომლებიც მხოლოდ ისეთ ადამიანზე მოახდენდნენ შთაბეჭდილებას, რომელმაც არ იცის რანაირი საშუალებით და რანაირის ხრიკებით ჰგროვდება ასეთი პროტესტები. არც ეხლა მივაქცევდით ყურადღებას, მაგრამ პროტესტანტებმა და მათმა ხელმძღვანელებმა ნელნელა შეაპარეს ის აზრი, რომ ყველაფერი, რაც ფ. მახარაძემ და მისმა დამქაშებმა ილია ჭავჭავაძის შესახებ დაწერეს, მართალია. ეს მეორე შეურაცხყოფაა ილიასი, ეს მეორე მოკვლაა ტანჯული ადამიანისა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ შეიძლება ადამიანი ყველაფერში არ ეთანხმებოდეს ილია ჭავჭავაძეს. განა ან განსვენებული არჩილ ჯორჯაძე არ ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს? მაგრამ რა აქვს საერთო ამისთანა კამათს იმ ბარბაროსობასთან, რომელიც ფ. მახარაძემ ჩაიდინა და რომელსაც ეხლა მხარს უჭერენ პროტესტანტები. ფ. მახარაძემ და მთელმა მისმა ღვარძლიანმა კამპანიამ კაცური კალამი აჰყარა ილიას, მიწასთან გაასწორა, როგორც ადამიანი, ავაზაკი უწოდა, ჯაშუში. ვინ იცის რამდენი საზიზღრობა არ მოახვია თავზე მხოლოდ იმიტომ, რომ ფ. მახარაძე და მისი ღვარძლიანი ამხანაგ-მეგობრები ილია ჭავჭავაძეში ჰხედავდნენ ძალას, რომელიც მათ მოსვენებას არ აძლევდა.

დღეს, როდესაც მთელი საზოგადოება თავს დასტირის დიდებულ მომამაგის სახელს, დასტირიან, რადგან ვერ დაიფარეს იგი მზაკვრის ტყვიისაგან, როდესაც სინდისი ჰქეჯნის ყოველ შეგნებულ ქართველს, გადმომდგარა ფ. მახარაძე თავისი დამქაშებით და მწარე გლოვის დროს, კვლავ იმეორებს თავის უსირცხვილო ბრალდებას: ილია ჭავჭავაძე ჯაშუში იყოვო...

ეს არის მხოლოდ მასხარად აგდება საზოგადოებისა, ეს შეურაცხყოფაა ყოველი შეგნებული ადამიანისა; ამის უყურადღებოდ დატოვება იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ზურგიდან აღგვილა ისეთი ადამიანები, რომელთაც ავისა და კარგის

...ანახვა შეუძლიანთ და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება რეგვენი ხალხის სათარეშო მოედნად გამხდარა. ...არია, ბატონებო! სწერედ რაც გინდათ, თუ გესიამოვნებათ თავი ჩაი...ლით თქვენი ფანატიზმის ქაობში, ...იხარშეთ თქვენი დემაგოგობის ...ვენში, ილიას კი მეორედ ნუღარ ...გვიხდით თქვენი გრძნობების დაკმაყოფილების საშუალებად.

საზიზღარია ის ადამიანი, რომელიც დიდებულ მოამაგეს ჯაშუშსა და ავაზაკს უწოდებს, უფრო საზიზღარია ის, ვინც ერთხელა სთქვა და ...ლავ იმეორებს. ფ. მახარაძე ღირსი არ არის, რომ თავისი ჭუჭყიანი ...რით ილიას სახელი ახსენოს. ჩვენ ...რმად აღელვებულნი ვართ იმი..., რომ დასელებს კვლავ უნდათ ...ლია შეურაცხყონ, აღშფოთებულნი ვართ, რომ საჯაროდ, გაზეთის ფურცლებზე მას ისევ ჯაშუშსა და ავაზაკს უწოდებენ და ამიტომ პროტესტს ...აცხადებთ, როგორც ფ. მახარაძესა, ისე მათ წინააღმდეგ ვინც მას მხარს უჭერს.

**ტფილისის ტრამვაის მუშების ნა...: კონდუქტორები და ვატმა...ბი:** ერასტი ჩოძახიძე, ივანე ხუციშვილი, შაქრო ჩალაძე, ილიკო ...ბაგიანი, ბარბაქაძე გალაქტიონ, ...ქეშელაშვილი, ნიკოლოზ ზაქარაია, ილია ტორჩინავა.

**„კახეთის“ საზოგადოების მუშები:** სოსო ვაჩნაძე, არჩილ ციციშვილი, მიხეილ მაყაშვილი, არჩილ დეკანოზიშვილი, მიხო გუმაშვილი, ნიკ. ქურხული, ნიკ. ჭიაფერაშვილი, ალექსი მგრდელიშვილი, ილ. ფიცხელაური, პეტრე ქურხული, დავით თურქესტანიშვილი, ლადო სულხანიშვილი. ფირან ზაალიშვილი, ნიკ. ვაჩნაძე, ნიკო ...ამაშვილი. ნიკო ანდრონიკაშვილი, დიმიტრი აღნიაშვილი, დ. კოპაძე, ჩიჯავაძე ირაკლი, დავით ქურხული, დათა კოპაძე, შაქრო ახალბედაშვილი, ალექსანდრე კოპაძე, ალექსანდრე ნარიძე, ივანე ჩიტაშვილი, ილიკო ბიბილაური.

**ქალები:** ნატალია ცხვედაძის ასული, ნინო მაღალაშვილის ასული, ...რიამ ზუზიაშვილის ასული, მარიამ ...ანდელაკის ასული.

**სხვა და სხვა მუშათა ჯგუფები:** ...ელიტონ გოგობერიშვილი, კალისტრატე სუთიძე, ივლიანე როინიშვილი, ვასილ ძელური, გიორგი ჩომახიძე, გიორგი ცაგარეიშვილი, ოქრო აგლაძე, მიხა ელიოზიშვილი, პავლე მიქელაძე, ალექსი ცხვედანია, ალექსანდრე გ—იონი (გვარი ვერ გავარჩიეთ), ივლიანე ჩლაიძე, არტემ ლაშხი, ნიკო ობოლაშვილი, ილიკო ყურაშვილი, ნიკო გუნოშვილი, ს. ელიავა, ლავრენტი ხოსარიძე, თედო კიკოლაშვილი, ლადო გ—ძე (გვარი ვერ გავიგეთ), ილიკო მოჩაიძე, გრიგოლ ჩიხაძე, ამბაკო ქელიძე, სეფე მელაშვილი, ერასტი მაცაბერიძე, ავქსენტი ცაგურაძე, სპირიდონ კორძაია, ვანო ოქროპირიძე, ილიკო ლომთაძე, დათა გელაშვილი, მიხაკო ნატროშვილი, პეტრე შენგელია, გედევან მაღრაძე, კოლა ატაშვილი, ალექსანდრე დოლიძე, სანდრო კორინთელი, შალიკო დოლიძე, ამბაკო ოდელაძე, კაკარავა, ალფეზ გოშაძე, კოსტა გოშაძე, სტეფანე ქარაზანიშვილი, ვანო გამყრელიძე, ირაკლი დეკანოზიშვილი, კალისტრატე ბარბაქაძე, სერგო სვანიძე.

**ქართველ მკერვალთა მუშები.** სერაფიონ ფანცხავა, ტატე ყუფარაძე, დათიკო გელიაშვილი, ვენედიქტე მეფარიშვილი, კირილე მარკოზის ძე ფალავანდიშვილი, მინა აბაშიძე, გიორგი ზუბაძე, ნიკიფორე ჯახრულიძე.

**სტამბის მუშები.** ვლ. იოს. გულაძე, ირ. გიორგის კაპანაძე, ვ. გრ. გეგეშიძე, ი. ა. დეძუროვი, ს. მ. ბიბილაშვილი, ილ. თ. სონღულაშვილი, ან. მიხ. საყვარელიძე, ტრ. რომ. კორძაია.

## მსოფლიო გამოფენა ქ. განში

(ერთის თვალის გადავლებით)

**გ ე რ მ ა ნ ი ა *)**

გერმანიას, როგორც ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისებური ადგილი უკავია, ისე გამოფენაშიაც ორიგინალური ადგილი დაუჭერია. მისი პავილიონი სხვებისას არ ეკედლება და არ ემეზობლება, ის განცალკევებულია და გარეგნულადაც სხვებისაგან ძლიერ განირჩევა. მაღალი, ციხე-კოშკის მსგავსი ოთხ-კუთხი შენობა რუხად გალესილი, სადა და სწორი, არსად რამე ჩუქურთმა, ან რამე დამამშვენებელი.

შედიხარ ჯერ ფართო და მაღალ ვესტიბულში. შუაში ტიტველი, ჩასკვნილი კაცია გამოქანდაკებული. ორივე მუშტი შეუკუმშავს, კოპი შეუკრავს და მრისხანე სახისას თვალები გაუშტერებია, თითქო საჩხუბრად იწევსო. თითქოს ყველას ეუბნება: „აბა, ვისაც გული გერჩის, გამოდით თუ კაი ბიჭები ხართო“. ეს ქანდაკება თვით გერმანიის სიმბოლო უნდა იყოს. ვესტიბულის იქით გამოფენაში შესასვლელ კარების ზემოდ გამოქანდაკებულია იმპერატორის ვილჰელმ მეორის ბიუსტი, ჩვეულებრივი ნახევარ მრისხანე სახით და აწკეპილი ულვაშებით. ქვეშ აწერია: „25 წელიწადია, რაც ევროპაში მშვიდობიანობას იცავსო“.

შიგნით გამოფენილია ჯერ სურათები და ქანდაკებანი. აქაც ვილჰელმის დიდი ქანდაკება. შემდეგ ჭურჭლეულობა; რა ოქმა უნდა ლამაზი, მოვარაყებული, მოჩუქურთმებული, მაგრამ ფრანგული სინაზე მაინც აკლია. აქ ყველა ნივთი რაღაც მოღუშული, წარბ-შეკრულია, როგორც თვით გერმანელი. ჭურჭლეულობას მოსდევს სხვა და სხვა ღვინოები და მაგარი სასმელები: ლუდი, ... ეტყობა სასმელის გაკეთების საქმე ძლიერ კარგადაა იქ დაყენებული. ლუდის გამოხდაში მათ ხომ ვერავინ შეედრება. გამოფენილია ძლიერ საინტერესო მანქანა, რომელიც ჯერ ბოთლს რეცხავს, მერე შიგ ლუდსასხამს, ავსებს, თავსაცობს უკეთებს და სრულიად დაზადებულს ცალკე სდგამს და ყოველისფერი ეს სწრაფად, როგორც ერთი, ორი, სამი... გამოფენილია უთვალავი ვერცხლეულობა, მოოქრული, თუ მოსევადებული; პაპიროსის გილზების საკეთებელი მანქანა, სამზარეულოს მოწყობილება. თეთრეულის სარეცხი მანქანა ძლიერ საინტერესოა, ადგილი ცოტა უჭირავს და თეთრეულსაც ჩქარა რეცხავს. ძლიერ საინტერესოა აგრეთვე ტკბილეულობის საკეთი მანქანა, საკანფეტო მასალა დამზადებულია ფქვილად, ფქვილი ერთ-ერთ ამოღრმავებულში სცვივა, მას ზემოდან ფოლადის ბეჭედი ეცემა და ყოველ თვალის გახამხამებაში ორ-კაპიკიანის ტოლა თეთრი კონფეტი განზე ვარდება... გამოფენილია აგრეთვე ფართლეულობის საქსოვი ბევრი მანქანა.

ამათ მოსდევს სამხედრო განყოფილება. სხვა და სხვა ჯურის თოფები, ხიშტები, ტყვიის-მფრქვევლები, ზარბაზნები; ძთელი უშველებელი სვეტებია ამართული პატრონებისა. სამხედრო ურმები, მათი მომზადება. ურმის თვალის მექანიკურად გასაკეთებელი მანქანა და სხვა და სხვ. ნივთები სამხედრო საჭიროებისათვის.

**საერთაშორისო განყოფილება.**

გერმანელების შორი-ახლოს უზარმაზარი შენობაა აგებული. ეს დანიშნულია იმ სახელმწიფოთათვის, რომელთაც კერძო პავილიონები არა აქვთ.

გავემართე იქითკენ. შევდგი თუ არა ფეხი, გრამოფონის ხმა შემომესმა. მივხვდი რომ ედისონის სამშობლოში ვიყავი. ამ ნაირად აქ პირველად ჩრდილო-ამერიკის **შეერთებულ შტატებში** მოვხვდი. აქ მთავარ ყურადღებას იპყრობს საელექტრონო, სატელეგრაფო და სატელეფონო მოწყობილობანი. ამაში ხომ ამერიკელებს ვერავინ შეედრება. გამოფენილია უთვალავი გრამოფონები. ყველა ნივთი შნოიანი, მკვიდრი, მოხერხებული და ამასთან გასაოცარი იაფი. აქაც გამოეფინათ წვრილმანი ზიზილ-პიპილობა და ტკბილეულობა. ხალხი ბუზივით დასევია.

შეერთებული შტატებიდან **იაპონიაში** გადავედი. გრძნობ, რომ მაღალი კულტურის მქონე ხალხთან გაქვს საქმე. მათი ჭემების ნიმუშები ინგლისელების გვერდით რომ იყოს, თავს არ შეირცხვენს. მათი მინის ვაზები, აბრეშუმეულობა და ფაიფურის ჭურჭლეულობა ნაირ-ნაირობით, სიმტკიცით, თუ სილამაზით საფრანგეთისას არ ჩამოუვარდება. აქვეა მათი სამზარეულო, ორიგინალური საჭმელებით. მართალი უნდა ვთქვა, ერთი, სახით ძლიერ უშნო, იაპონელი გაფაციცებით ერთგვარი ქადების გამოცხობაში იყო გართული. ათი პაწია რკინის ტაფა, მარწუხივით გრძელ ტარიანი დასაკეცი და გასაღები ჩარიგებული ჰქონდა გაზის ცეცხლზე. გამოცხობის დრო იმგვარად იყო გამოზომილი, რომ როცა უკანასკნელ მეათე ტაფაში თხელ ცომს დაასხამდა, და შესდგამდა, პირველი უკვე მზად იყო და ასე რიგ-რიგობით. ასე რომ, ქადის მცხობელს, ერთი წამი რა არის, მოსვენება არა ჰქონდა. სწორედ რომ მანქანასავით მუშაობდა და ამიტომ ცოცხალი ავტომატი დავარქვი. ქადებს იქვე ჰყიდდნენ ოთხ წყვილს ათ სანტიმად (—4 კაპ.). არაუშავდა რა, გემო კარგი ჰქონდა.

გავიარე იქით და აი **რუსეთის** განყოფილებაც. რუსეთისთვის თავი ადგილი დაეთმოთ, ქუჩის პირას, გარედან მსხვილი წარწერით, მაგრამ, რად გინდა, შიგნით ხეირიანი წვრილმანიც არ მოიძებნებოდა რა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უშველებელ, უკანა ტოტებზე შემდგარ თეთრ დათვს (არა ცოცხალს, რა თქმა უნდა). დათვის ირგვლივ იატაკზე დალაგებული ცოტაოდენი ჭურჭეულობა, აგრეთვე ორი სამი ნაჭერი ტილოს ქსოვილი, კიდევ რაღაც უფერული წვრილმანობა და აი უზარმაზარი რუსეთიც. მდიდრულად მორთული სახლიდან ყველა კარგ ნივთებს რომ გაიტანენ და აქა-იქ ხარა-ხურა რამე რომ დარჩება, სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ამ ზღვა გამოფენილთა შორის რუსეთის განყოფილება. ამბობენ, რუსეთი ოფიციალურად არ იღებს მონაწილეობასაო, მაგრამ, კიდევაც რომ მიეღო, მეეჭვება, რომ ფრანგ-ინგლის-გერმანელებთან რამე გამოეფინა ბევრი სახარბიელო ვერა იქნებოდა რა. თვალსაჩინო კულტურას ჰქმნის თავისუფალი მოქალაქე და არა პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი რუსეთის ქვეშევრდომი.

სხვათა შორის ჩვენებური ლეკებიც ჩამოსულიყვნენ. ჩამოეტანათ მათრახები, ჯოხები, კალმის ტარები და სხ. მოსევადებული ნივთები. ისინი, უეჭველია, რუსეთის განყოფილებაში მოთავსდებოდნენ, მაგრამ ეტყობა იქ არ უხეირნიათ და რუმინიელებს მიეკედლებოდნენ. მე ისინი რუმინიელების განყოფილებაში ვნახე. ძალიან გამიხარდა ჩოხიანი კაცების ნახვა. გამოველაპარაკე შემომჩივლეს: ძლიერ ნაკლები ვაჭრობა გვაქვსო. თავიანთი საქმის წარმატებლად ორიგინალური ხერხისთვის მიემართნათ: ეყიდათ ბელგიელებისაგან იაფ-ფასიანი ხის ჩიბუხები და იქვე ხალხის თვალ-წინ ასევადებდნენ. ხალხს მათი მუშაობა, მართალია, აინტერესებდა და გარს ბევრი ეხვია, მაგრამ გაყიდვით მაინც ჩიბუხებსაც ბევრს ვერ ჰყიდიდნენ. „ოჰ! არ ვრიან ევროპიელები კაი ხალხიო“, შემომჩივლა ისევ ლეკმა. იქნებ თავისებურად თავის გასამართლებელი ლეკებსაც ჰქონდეთ რამე, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ ავტომობილების და ელექტრონის ქვეყანაში, მათრახები ვერ გაიყიდოს. ხოლო ბელგიელი არც იმდენად უჭკუა, რომ ერთ ფრანკიან ჩიბუხში ხუთი მისცეს, მხოლოდ იმიტომ რომ ჩიბუხს აქა-იქ მის თვალწინ ლითონის პაწაწა ნაჭრები ჩაუსვეს.

ყოველ შემთხვევაში კარგია, რომ ისინი მაინც წამოსულან, რამე მაინც ჩამოუტანიათ, ეს უეჭველია, მოსაწონია. ხოლო, რაკი ამ სიშორეზე წამოვიდნენ უკეთესი იქნებოდა, თუ არა მდიდრულად, სუფთად მაინც ჩაეცვათ, თორემ დაგლეჯილი ჩოხა-ახალუხით და ჭუჭყიანი ფაფახით ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდნენ.

**რუმინიის** განყოფილებაში, რუსეთის მეზობლად, გამოფენილთა შორის თვალსაჩინოა სხვა და სხვა ნაქარგი, ხისგან გაკეთებული წვრილმანი ნივთები და ხორბლეულობა.

**ავსტრიისაში** ჭურჭლეულობა და ვაზები. არ ვიცი ფრანგული და არ ვიცი ესენი, რომელი სჯობია მათში.

**პანამას** გამოუფენია ძვირფასი ხილეულობა, განსაკუთრებით ჩინებული ფორთოხალი.

**დანიაში**, როგორც ვიცით, ძლიერ განვითარებულია მეურნეობა, კოოპერატიული ამხანაგობა, სწორედ ის, რის განვითარებაც არა თუ საჭიროა ერთად-ერთი ხსნილია ჩვენი, ამიტომ ძლიერ მეინტერესებოდა მათი ცხოვრების გაცნობა და გადავსწყვიტე, რაც შეიძლებოდა მათი ცხოვრების გაცნობა და დაწვრილებით დამეთვალიერებინა მათი განყოფილება, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა მხოლოდ ჭურჭლის მაღაზიაში ამოვყავი თავი. ჭურჭლეულობა მართლა მოსაწონია. სადა, უვარაყო, ლურჯ ჯავარიანი, თავისებური სახისა, მაგრამ დანელებთან ჭურჭლების გარდა სხვა ვერა ვნახე რა.

იქიდან **გვატემალაში** გადავედი. გვატემალას რესპუბლიკა შუაგულ ამერიკაშია, მექსიკის გვერდით. სივრცით ორი საქართველოს ტოლა იქნებოდა. გამოფენილია: შესანიშნავი ხორბლეულობა, კაკაო, ყავა, საინტერესო ხილეულობა, როგორც ნედლი ისე შაქარ-წყალში შენახული. ამ მხრივ მის მიერ გამოფენილ ნიმუშებს პირველი ადგილი უნდა მივაკუთნოთ მთელს გამოფენაში.

არა უშავს რა **ესპანიის** განყოფილებასაც. გამოფენილია მრავალნაირი ღვინო. საყურადღებოა მათი ხელოვნურად მოსევადებული ვერცხლეულობა. უფრო წვრილმანი ნივთებია გამოფენილი, კაკვები, შესაკრავები, ქინძისთავები და სხ. ამგვარად, ეტყობა ევროპაში ძლიერ მოსწონთ ესპანური ხელოვნება რადგან დიდი ვაჭრობა აქვთ.

**უიარაღო.**

(შემდეგი იქნება)



## მუშათა ცხოვრება

✦ ჩხრეკა და დაპატიმრება ვიბორგის რაიონში გრძელდება, დაატუსაღეს მუშა, რომელსაც ათასი პროკლამაცია უპოვეს. აღმოაჩინეს ტიპოგრაფია და სამი კაცი მომუშავეთაგანი შეიპყრეს.

✦ გაფიცვა მოსკოვში დიდერიხსის სამექანიკო ქარხანაში ყველა განყოფილებას მოედო. ქარხნის ადმინისტრაციამ ოდესიდან გაფიცულთა ადგილას მუშები გამოიწერა, როდესაც მუშებმა გაიგეს, მათ გაფიცულების ადგილას იწვევდნენ. უარი განაცხადეს და მეფაბრიკეებს დასაბრუნებლად სამგზავრო ფული მოსთხოვეს. მუშებს გადაწყვეტილი აქვთ გაფიცვა განაგრძონ, ვიდრე ყველა მოთხოვნილებებს სრულიად არ დაუკმაყოფილებენ.

✦ რიგაში ვიცე-გუბერნატორმა კროპოტკინმა ადგილობრივ გაზეთებს წინადადება მისცა: არ მოათავსონ ცნობები გაფიცვის შესახებ. ცნობები კი მუშების მიერ სამუშაოს დაწყების შესახებ უეჭველად მოათავსეთო.

✦ რიგის ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა არ მოხდება, რადგან მოსამსახურეთ შეჰპირდნენ, რომ 1914 წლის იანვრიდან მათ მოუმატებენ ჯამაგირებსა და აგრეთვე შეუსრულებენ მოთხოვნილებათა უმეტეს ნაწილს.

✦ ბორისოვოში მეწაღეთა კრება გაიმართი, რის გამოც შეიპყრეს კბილის ექიმი როზემბლიუმი, როგორც კრების მომწყობი. მას სამი თვით დაპატიმრება მიუსაჯეს. 12 ნოქარი ამავე კრების მონაწილეობისათვის თითო თვით დააპატიმრეს.

✦ გაიფიცნენ ვარშავის გუბერნიაში, პაბიანიცაში შტეინის ქარხნის მუშები. მაგრამ საინტერესოა გაფიცვის ნიადაგი: გაფიცულები ყველანი ქრისტიანებია; მათ მოითხოვეს ებრაელ მუშათა დათხოვნა. ქარხნის ადმინისტრაციამ გაფიცულთა მაგიერ ებრაელები მიიღო.

✦ გროზნაში თერგის ოლქის უფროსმა გროზნის სამრეწველოების პატრონებს, პოლიციას და მუშებს გამოუცხადა: მთავრობა არ ჩაერევა გაფიცვაში, თუ მშვიდობიანობა არ დაირღვევა და დაცულ იქნება კანონის მოთხოვნილებაო. ამავე დროს აკრძალულია გაფიცვა საზოგადოებრივ საჭიროების დაწესებულებაში და წარდგენა არა ქონებრივ ხასიათის მოთხოვნილებისა.

## მოწერილი ამბები

**კლდეეთის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). სოფ. კლდეეთი ერთ მდიდარ სოფლად ითვლება მთელს იმერეთში. სოფლის უმთავრეს სიმდიდრეს შეადგენს ღვინო და სიმინდი. უკანასკნელი, წლეულს, როგორც საერთოდ მთელ დასავლეთ საქართველოში, ხანგრძლივმა გვალვამ სრულიად მოსპო, რის გამოც წლეულს საშინელი შიმშილი გველის. სოფელი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი, არ იცის, თუ როგორ უშველოს თავს—როგორ გაუძლოს მტერს ან მოყვარეს.

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ სწორედ ჩვენზე არის ნათქვამი—დღე ერთია და სულ ახალ-ახალი უბედურება ატყდება ჩვენ სოფელს. რომელი ერთი უნდა ჩამოსთვალოს კაცმა... დამლევ ივლისს მოჰკლეს და ჩუმად ჩაფლეს მიწაში გლეხი ბუხრაშვილი, რომელიც აღმოაჩინეს რამდენიმე დღის შემდეგ. ამის გამო ჩვენი სოფელი დააჯარიმეს. 11 აგვისტოს, როცა მთავრობის მამასახლისი ლეკი, თავის ჩაფრებით ღამე სოფლიას სასამართლოში ბრუნდებოდა, უცებ წინ შეეფეთნენ ყაჩაღები, ასტყდა საშინელი სროლა, რომლის დროსაც მოკლული აღმოჩნდა ერთი ჩაფარი. ამის გამო სამაზრო ადმინისტრაციამ შეჰკრიბა კლდეეთის საზოგადოება და მოითხოვა ყაჩაღების გაცემა, რის გამო მთელი სოფელი მშიერ-მწყურვალი რამდენიმე დღეს გაჩერებული ჰყავდათ. ბევრს გული შეუღონდა. შემდეგ ეს ამოდენა ხალხი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით მიუსიეს სოფელს და დაიწყეს ყაჩაღების ძებნა; მშიერი ხალხის სოფელში შესევა თითქმის ეგზეკუციას წარმოადგენდა. რასაკვირველია, ვერავინ დაიჭირეს. ორი დღის შემდეგ გამოაცხადეს: გუბერნატორი მოდის ქუთაისიდან ს. ტაბაკინამდე და ეხლავე შეუდექით გზის შეკეთებასო, ეს მშიერი, და ღონეგამოლეული ხალხი მიუსიეს გზას...

24 აგვისტოს ს. ტაბაკინში ქორწილის დროს მოჰკლეს ს. არგვეთის მცხოვრები ბარბაქაძე; ახლა, აღარ ვიცით, რას მოგვიტანს ეს მკვლელობა... ალბად კიდევ ახალ უბედურებას! აი ასეთს საშინელებას განიცდის დღეს ჩვენი საზოგადოება და კაცი არ არის, რომ ჩვენზე ხმა აღიმაღლოს; რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? რომელ ერთს გაუძლოს კაცმა? ჩვენ რომ არაფერი გვიშველის, ეს ცხადზე უცხადესია, თორემ რა უჭირდა ბ. დეპუტატს კარლო ჩხეიძეს, როცა ტფილისში იყო გურიის საქმეებისა გამო, ორიოდე სიტყვა ჩვენზედაც აღეძრა, მით უფრო, რომ თვითონ კლდეეთის საზოგადოების და სოფელ ფუთის მცხოვრებია და ეხლაც აქ სცხოვრობს... აი ამ მდგომარეობაში არის დღეს ჩვენი სოფელი, ოდესღაც მყუდრო და ყოველის მხრით მდიდარი.

**სკანდე.**

**ქ. თელავი.** 29 აგვისტოს დიდებულ ჭავჭავაძის ილიას ტრაგიკულად გადაცვალების 6 წლის თავზე საკრებულო ტაძარში წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის ინიციატივით, ქალაქის სამღვდელოებამ დეკ. შიუკაშვილის მეთაურობით, გადაიხადა წირვა და პანაშვიდი პოეტის სულის მოსახსენებლად.

ილიას სახელის ხსენებაზე არ შემიძლიან კიდევ არ აღვნიშნო მგოსნის მამულის მდგომარეობა სოფ. ყვარელში. რამდენიც დრო გადის, იმდენი სამწუხარო ცნობები მოდის ამ მამულის აოხრების შესახებ. ზოგი მთხრობელი მთხოვს პრესის საშუალებით ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, ან თავად-აზნაურობას, რომლის საკუთრებასაც შეადგენს ეს მამული.

სწორედ ამ თავად-აზნაურობას წარსულ გაზაფხულზე მოხსენებით მიჰმართა წ. კ. თელავის განყოფილებამ, დაწვრილებით აუწყა მამულის მდგომარეობა და სთხოვა საჭირო ფულის გადადება. გვეგონა ჩვენი თავად-აზნაურობა ივნისის კრებაზე ასე თუ ისე გადასწყვეტდა ამ ფრიად საჭირო საკითხს, მაგრამ აქამდე არაფერი ისმის.

დრო და სტიქიონი კი თავისას ასრულებენ. საინტერესოა ვიცოდეთ: რა ბედი ეწია ამ საჭირო და თანაც გადაუდებელ საქმეს.

**დაგიწყებული.**

## უცხოეთი

**საფრანგეთის სინდიკალისტების შორის.**

ამ დღეებში გამოვიდა „შრომის საერთო კონფერენციის“ მანიფესტი, რომელშიაც ცხადად იყო აღნიშნული უკმაყოფილება იმ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩავარდა სინდიკალიზმი ბოლო ხანებში. მართალია, მანიფესტში კრიზისის შესახებ მხოლოდ აქა-იქ იყო ცნობები და ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ საჭიროა წმინდა კორპორატიული მოღვაწეობის გაძლიერება, რომელმაც თითქოს უკან დაიხია სარევოლუციო გამოსვლისა და „მილიტრიზმთან ბრძოლის“ წინაშე. საფრანგეთის გაზეთების მსჯელობამ ცოტა გამუქა ის, თუ რა მდგომარეობაშია სინდიკალიზმი. ზოგიერთ ფედერაციებში, რომელნიც კონფედერაციებში შედიან, ძლიერ დაეტყო წევრ—მუშების რიცხვის შემცირება და საწევრო გადასახადისაც. ამასთანავე თითონ ამ ფედერაციებში გამოირკვა, რომ კონფედერაციას სკეპტიკურად უყურებენ. მაგალითად, ლითონის მუშათა ფედერაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ თვით სინდიკალიზმი რამდენიმე ერთიმეორის მეტოქე ჯგუფად გაიყოო. მათი შეერთებისათვის ყოველ ცდას შედეგად მოჰყვება ხოლმე მხოლოდ დაახლოვება „ინერციითა და უძლურების სულით გაჟღენთილი ერთობისა“. ამ დროს კი კონფედერაციაში შემავალ მუშათა სინდიკატების რიცხვი მცირდება. რასაკვირველია ზოგიერთ შემთხვევაში ამის მიზეზია ისა, რომ წინად არსებული ცალკე ფედერაციები ერთ ორგანიზაციად გარდაიქმნენ. ლითონის მრეწველობის მუშათა ფედერაცია აღნიშნავს, რომ 104 სინდიკატი მოისპო. ბოლო ხანებში შესამჩნევად იკლო აგრეთვე მუშათა რიცხვმა (ამავე ფედერაციაში) რომელთაც საწევრო გადასახადი შეჰქონდათ. მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის ასეთ მუშათა რიცხვი იყო 27,225, 1 ივლისისათვის კი—სულ 24,896.

ასეთივე ფაქტები აღნიშნულია სხვა ფედერაციებშიც. სხვა ფედერაციების ხელმძღვანელნიც სჩივიან, რომ მუშათა რიცხვი თანდათან მცირდება. თუ წინად ფედერაციაში 50,000 კაცი შედიოდა, ეხლა ეს რიცხვი თითქმის განახევრებულია. ფედერაციების ხელმძღვანელნი ამბობენ, რომ საჭიროა უეჭველად კორპორატიული მოღვაწეობის გაძლიერებაო. აგრეთვე საჭიროდ სცნობენ, რომ უფრო დაემყარონ თავის ძალებს, მეტად განავითარონ წმინდა სინდიკალური მოღვაწეობა და ნაკლები ყურადღება მიაქციონ იმ საერთო „გამაერთიანებელ“ მუშაობას, რომელიც ჰსურს „შრომის საერთო კონფედერაციასო“.

## რუსეთი

**ძეგლი პირველ სათათბიროს თავმჯდომარის საფლავზე.**

დონის მონასტერში, მურომცევის საფლავზე გაცხარებული მუშაობაა საფუძვლის ამოყვანაზე და უკანა კედლის აშენების გამო. ძეგლს აშენებენ მექანდაკე თავ. ტრუბეცკოის გეგმით. ამ ძეგლის ისტორიამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ყველას კარგად ეხსომება, რომ მოსკოვის სასინოდო კანტორამ ნება არ მისცა საფლავზე მურომცევის ბიუსტის გაკეთებისა. ამის გამო, უკეთეს დროს მოლოდინში, გადასწყვიტეს ჯერ ძეგლის ის ნაწილები ააშენონ, რომლის საწინააღმდეგო არა აქვს რა სასინოდო კანტორას. მის ძეგლზე არც ბიუსტი იქნება და არც მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებიდან ამონაკრები.

მხოლოდ პოსტამენტზე, რომელზედაც განზრახული იყო განსვენებულის სურათის მოთავსება, ჩასმული იქნება ოქროს სიტყვები: **„პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე სერგეი ანდრიას ძე მუროოძცევი“.**

## დეპეშები

(დეპეშათა აგენტ. სააგენტოსაგან).

**3 სექტემბერი.**

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**ტოკიო.** ნანკინში მომხდარ ამბების გამო ჩინეთის ესკადრას მოუმატეს 2 კრეისერი და 4 ნაღმოსანი. ჩინეთთან მოლაპარაკება ჯერ არ დამთავრებულა.

**ზადარი.** „ნაროდნი ლისტი“ იუწყება სპლეტაში სლავიანურ ენაზე ღვთის მსახურება აკრძალესო.

**ვენა.** ალბანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მუფიდ-ბეიმ „ნეიე-ფრეიე პრ.“ თანამშრომელს განუცხადა, ალბანიის მთავრობას სურს საერთაშორისო საკონტროლო კომისიიის აზრს ყური ათხოვოს, მაგრამ არ მოითმენს ვისიმე შინაურ საქმეებში ჩარევას. ავსტრო-უნგრეთი და იტალია დაინტერესებული უნდა იყვნენ, რომ ალბანეთს 100,000 კაცისაგან შემდგარი ჯარი ყავდეს. მაშინ სერბიას ადრიატისკენ გზის გაკვლევა გაუძნელდება, რაც რუსეთსაც სერბიასთან ერთად ძლიერ სურსო.

**ჰააგა.** გენერალურ შტატის გახსნის დროს წარმოთქმულ სეფე-სიტყვაში ის აზრია გატარებული, რომ ჰოლანდიასთან მეგობრული განწყობილება იქნება, მთავრობა კონსტიტუციის გადათვალიერებას კისრულობს მამაკაცთა და ქალთა საარჩევნო უფლების გასაფართოვებლად. მთავრობას აზრად აქვს, შემოსავლის კვალობაზე გადასახადი შემოიღოს.

**თეირანი.** რეგენტს ამ კვირაა მოელოდებიან. ჟანდარმებისა და ყაზახთა რაზმების გარდა ენზელ-თეირანის გზაზე რეგენტს დაახვედრებენ პროვინციელ ცხენოსნებს.

**ბერნი.** საერთაშორისო კონფერენციამ მუშათა დაცვის თაობაზე განსაკუთრებული კომისია აირჩია ბავშვთა ღამის მუშაობის შემცირების შესამუშავებლად. აგრეთვე კომისიამ დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს ბავშვთა და ქალთა სამუშაო საათების მაქსიმუმი.

**მუსიგი.** მრეწველთა ცენტრალურმა კავშირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც იწუნებს გარეშე პოლიტიკას. მრეწველები სჩივიან, მთავრობის პოლიტიკის წყალობით ვაჭრობა - მრეწველობის დაცემას, „ნეიე-ფრეიე-პრ.“ ამბობს ეხლა მაინც ანგარიში უნდა გაუწიონ მრეწველთა აზრსო.

**სოფია.** 500 სერბიელი ტყვე სპეციალური ვაგონებით გაიგზავნა. მი-

მოსვლა რკინის გზაზე ბელგრადსა და სოფიას შორის აღდგენილ იქმნა.

**სტამბოლი.** ბულგარელების და ოსმალების შორის შეთანხმება მოხდა უმთავრეს მუხლებში. ოთხშაბათისთვის სრული შეთანხმება უნდა მოხდეს.

დაიჭირეს გაზეთი „ტანინი“ ბულგარელ დეპუტატების და მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის.

პარიზიდან ჩამოვიდა ჯავიდ-ბეი.

**ვენა.** „სლავიშე კორესპონდენცი“ იუწყება: დოლხეში, გორლიცის ახლო ჟანდარმები შეიჭრნენ მართლმადიდებელთა კერძო სამლოცველო სახლში ჲ დაატუსაღეს მღვდელი სოლოვია, წაიღეს საეკლესიო სამკაული და ბარძიმ-ფეხშუმი. ამ თაობაზე დეპუტატი მარკოვი ესაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც საქმის გამოძიება აღუთქვა.

**ლონდონი.** ირლანდიელ რკინის გზის მუშების წინააღმდეგ ლოკაუტის გამოცხადების საპროტესტოდ გაიფიცნენ ჩრდილო-დასავლეთის რკინის გზის მოსამსახურენი. მოსალოდნელია გაფიცვა სხვა რაიონებსაც მოედოს, რადგან მუშებს ტრედ-უნიონების ნიშნების ტარება აუკრძალეს.

**რ უ ს ე თ ი.**

**ფეოდოსია.** 4 შეიარაღებულმა ღამე გააჩერა მატარებელი, საერთაშორისო ბანკის მეარტელეს წაართვეს 30,000 მ. და მიიმალნენ.

**არხანგელსკი.** პეჩორის ახლოს ბოლვანის ყურეში, ჩრდილოეთის ზღვაზე გამორიყა გემი 70 ფუტის სიმაღლიანი. გემზე იპოვეს ქალთა კალოშები, ტანისამოსი, თოფის წამალი და ხორბალი.

**ბილბაო.** მცხოვრებლებმა დემონტრაცია მოახდინეს, რადგან დაზარალებულთა შორის გასანაწილებელი ფული უსამართლოდ განაწილდა. ჟანდარმებმა იარაღს მიმართეს.

**მოსკოვი.** დაიჭირეს მე-8 ნომერი „ჩვენი გზისა“ რედაქტორს სამართალში აძლევენ.

**ნიკოლაევი.** გაიფიცნენ ნავთ-სადგურის მუშები. მოითხოვენ კვირაობით მუშაობის მოსპობას და ნიხრის ძალაში დატოვებას.

**გროზნა.** აფხანაგობა: „ნავთის“ სამრეწველოში აფეთქება მოხდა. მოკლულია სამი, დაჭრილია რამდენიმე მუშა. გაფიცვა გრძელდება.

**კიშენიოვი.** მეღვინეთა საოლქო კრებამ შუამდგომლობა აღძრა სამიწად-მოქმედო გამგეობის წინაშე ერთი ან ორი მილიონ მან. გადადების თაობაზე სამაგალითო ვაზის სანერგის მოსაწყობად.

**კიევი.** მეფუტკრეთა კრებამ სასურველად სცნო კავკასიაში დედა ფუტკართა გამოსაყვანი სკა დაარსდეს და ინსტრუქტორთა რიცხვი გამრავლებულ იქმნეს.

**მოგილევი.** სახელ. საბჭოს წევრად აირჩიეს თავ. ნიკოლოზ დრუცკო-სოკოლსკი.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება სენატისადმი: 1914 წლის 4 სექტემბრამდე ძალაში დარჩეს უმაღლესად დამტკიცებული წესები სახელმწიფო წესიერების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცავად; იალტაში და მისს მაზრაში კიდევ ექვსი თვით დატოვებულ იქმნება განსაკუთრებული წესები, ვიდრე ახალი კანონი გამოიცემოდეს. ამ ადგილების მთავარი მართველობა თავრიდის გუბერნატორის ხელში რჩება. გაძლიერებულ დაცვის წესები დარჩება იმ ადგილებში თავისი საგუბერნიო ქალაქებით და მაზრებით, სადაც ასეთი წესები 29 აგვისტოდან 1912 წლიდან შემოღებული იქმნა.

დაიჭირეს მეექვსე ნომერი „ჟავაია მისლ“-ის, სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს მიწად-მოქმედების დეპარტამენტის ანგარიში. ხარჯი გადიდებულია $5\ ^1/_2$ მილიონით.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გიახლებთ 5 მ. და გთხოვთ ეს ფული შეუერთოთ დაუვიწყარის არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ასაგებ ფონდს.

**დავით ჩხეიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! ამას წინად „თანამედროვე ქვეყანაში“ მოთავსებული იყო ხარაგოულიდან ერთი კორესპონდენცია, სადაც, სხვათა შორის, გაკიცხული იყო ღორიხევის სკოლის მასწავლებელი დეკანოსიძე. ამ წერილისათვის განმარტება მიეცა ერთ მასწავლებელს და, როგორც თვითონ მიამბო ამ დღეებში, თქვენს პატივცემულ რედაქციაში გამოუგზავნა დასაბეჭდად. აღნიშნული დეკანოსიძე რედაქციას მე ვგონებოდი და ერთ-ერთ მეთაურ წერილში თავის მწუხარებას აცხადებდა, უკეთუ, რასაკვირველია, ფაქტი მართალი იქნებოდა. კერძო წერილიც კი მივიღე. ნება მიბოძეთ, გამოვაცხადო, რომ ამ მასწავლებელს **ნიკოლა** ჰქვია, მე კი მიხეილი და არც „თანამედროვე ქვეყანაში“ მოთავსებული და არც თქვენს რედაქციაში გამოგზავნილი წერილი მე არ შემეხება. ეს ამბავი წერილის ავტორსაც ეცნობებია თქვენთვის, მაგრამ მე მსურს და გთხოვთ პრესაში შეცდომით ჩემზე გამოთქმული საყვედური გააქარწყლოთ პრესის საშუალებითვე*)

ღრმა პატივისცემით მასწ. მიხაკო დეკანოსიძე.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ შევასწორო შეცდომა, რომელიც დაშვებულია თქვენი გაზეთის 4 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ ცნობაში, იმის შესახებ, ვითომც, მე შემიკვეთეს ქართული ეკლესიების სურათებისა და გეგმების გადმოღება. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ შემიკვეთა მხოლოდ მცხეთის ტაძრის საეკლესიო მხატვრობის გადმოღება. საზოგადოებას არ შეუკვეთნია არავითარი სხვა სურათები და გეგმები.

პატივისცემით მხატვარი

**ე. ფსკოვიტინოვი.**

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოცხადებული იყო, ვითომც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაევალებინოს მხატვრის ე. ფსკოვიტინოვისათვის საქართველოს ძველი ეკლესიებისა და შესანიშნავი ფრესკების გადაღება და ვითომც მხატვარს სამუშაოს ერთი ნაწილი უკვე შეესრულებინოს.

საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ თქვენის გაზეთის მკითხველთა საცნობად, რომ საისტორიო საზოგადოებას არ დაუვალებია ე. ფსკოვიტინოვისათვის არც საქართველოს ძველი ეკლესიებისა და არც შესანიშნავი ფრესკების გადაღება.

ბ. ფსკოვიტინოვმა სთხოვა საზოგადოებას გადაეღო ქართულ მუზეუმისათვის ფრესკები. მუზეუმის გამგემ დაუნიშნა გადმოეხატა ნიმუშად, მცხეთის ტაძარში ცნობილი ფრესკა „სამაია“. ბ-ნმა ფსკოვიტინოვმა შეასრულა ეს გაკვეთილი და მუზეუმმა იყიდა მისი ნახატი. ამის მეტი საისტორიო საზოგადოებას ჯერ-ჯერობით არაფერი შეუკვეთნია ბ. ფსკოვიტინოვისათვის.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი.

*) რედაქცია ამოწმებს, რომ მას ბ. მიხეილ დეკანოსიძე არ ჰყოლია სახეში

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## განცხადებანი

### ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „შრომის“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიისი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი**

## სიმ. ა. გრიანოვი

ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასსისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე. საატესტატო შეგ რდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.

ადრესი: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. 6. ბინა 8. 564.

## ს ა ჭ ი რ ო ა

პატარა ოჯახში შუახნის ქართველი დედაკაცი. ნახვა შეიძლება: დილით, „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში 9—3 საათამდე და საღამოთი თუმანოვის პირველი ქ., № 19, 4—7 საათამდე **ნ. ნეიმანთან.** 1459

## ექიმ ნავასარდიანის

### პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11 12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6 7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## უფლებიანი სავაჭრო სკოლა უფლებიანი

### და საბუღალტერო კურსები

### ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.

მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მოსწავლეთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლაში 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროს. № 53.** 562

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

## საბუღალტრო კურსები

## ნ. პ. აბრაამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

ოქროს მედალი ოქროს მედალი




GRAND-PRIX

## შ ა ქ ა ლ ი ე რ ი

### მოსკოვის საქარხნო საწყობისა

### ვლადიმერ ალპატოვისა

ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

მოითხოვეთ სურათებიანი კატალოგი




1463

## თქვენივე ინტერესი მოითხოვს, არ იყიდოთ სარეგისტრაციო საკონტროლო კასსები,

ვიდრე არ გაიცნობთ კასას

## „ანკერ“-ს,

ერთად-ერთი წარმომადგენელი

## ლ. კაკემეიერი.

**ტფილისში** მიმართეთ **ი. მ. აბეზგუზს**, ანჩისხატის ქ., 21, ბინა 6. **ბაქოში:** მერკურიევის ქ., 25, **ტელეფონი 3—38.**

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბ რათაშვილის ლექსები | 40 კ. | ორბელიანი გრ. ლექსები, | 20 |
| ბაჩანა. დიაკვნიანი | 20 „ | „ ვახტანგი, | 60 |
| ბეჲკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც. | 1 მ. | „ ნინო, | 30 |
| განდეგილი ლექსები, | 50 „ | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა, | 15 |
| გრიშაშვილი ოცნების კოცნა, | 10 „ | სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1, | 20 |
| გურამიშვილი. დავითიანი | 1 მ. | „ ცხოვრ. სურათები, № 2, | 20 |
| დუტუ მეგრელი, | 70 „ | „ ალსარება, № 3, | 5 |
| „ მწარე ფიქრები, | 20 „ | „ ლექსები 1879—1891 | 50 |
| ევდოშვილი. | 60 „ | „ სიმღები, | 5 |
| ერისთავი რაფ., ტ. 1-ლი, | 1 მ. | ქართ. პოეტ. რჩეულ. ლექსები, | 25 |
| „ ტ. 2 ე, | 40 „ | ჩიხრუხაძე ქნარი, | 20 |
| ვეფხის ტყაოსანი, | 60 „ | შანშიაშვილი შვების თავადი, | 60 |
| ვაჟა-ფშაველა, | 1 მ. | „ ქება-ქებათა და სულამიტ. | 10 |
| „ ახუნდი, | 5 „ | ცის-სარტყელა სალიტ. კრებული, | 15 |
| „ ბახტრიონი, | 20 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

## „ქართველ მწერლებს“

ვინც გამოიწერს წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიიდან დაეთმობა 20% 1446

**საბუღალტრო კურსები**

## გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ съ ОГР. ОТВ.

ВЪ ЛОНДОНѢ.

## მიღებულია

## ახალი ფირფიტები

ცნობილ მომღერალთა სიმღერებით,

როგორც მაგალითად:

**ბაგრატისა, გეთორგ შულავერელისა, ისლამ აბდულაევისა, მეჯიდასი, ჰამიტ კურბანოვისა** და სხ.

ახალი ამბავი! **მგოსანი აკაკი გრამოფონში** ახალი ამბავი!

ყველა ჩვენ ფირფიტას აქვს ყველგან ცნობილი ნიშანი:

## „მწერავი ამური“.

**ფირფიტების ხსა უფასოდ.**

ОТДѢЛЕНІЕ ДЛЯ КАВКАЗА и ЗАКАСПІЙСКАГО КРАЯ

**ТИФЛИСЪ,**

Головинскій пр., 9,

ПРОТИВЪ ВОЕННАГО СОБОРА. 1432

კომერციულ ცოდნათა კურსებზე **ტ. მ. ფილოიანისა** ახალი მეთოდით ასწავლიან

## ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურ

ენათა თავისუფალ კითხვას, წერას და ლაპარაკს სულ მოკლე დროში თეორეტიულისა და პრაქტიკული მეცადინეობის საშუალებით. დაწვრილებითი ცნობების მიღება კურსების კანცელარიაში შეიძლება დილის 10—12 ს. და საღამოს 4—7 საათ. მიხეილის პროსპ. № 24, ტელეფონი № 976. 1458

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

## საკომერციო ცოდნათა კურსები

## ტ. მ. ფილოიანისა,

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, **ტელეფ. № 976.**

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო ჲ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

## მმ.

## ძმები მეგრელოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

**ხიზილალა** |ქვიტკა|

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**